N 04/1553
23.12.2025

ბრძანება

1553-01-4-202512231707

გადაწყვეტილება

შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ (ს/ნ: 405663928) 2025 წლის 10 ნოემბრის N01/6899 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია და საჩივრის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2025 წლის 27 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ (ს/ნ: 405663928) (შემდგომში - მომჩივანი/შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სი“) საჩივარი (რეგ. N01/6401) შპს „პრემიუმ ფარმას“ (ს/ნ: 400420772) (შემდგომში - მოპასუხე/შპს „პრემიუმ ფარმა“) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის თაობაზე. სააგენტომ საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე მომჩივანს დაუდგინა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა ვადა.[1]

მომჩივანმა შევსებული საჩივარი სააგენტოში წარმოადგინა 2025 წლის 10 ნოემბერს (რეგ. N01/6899).

[1] სააგენტოს 2025 წლის 27 ოქტომბრის N02/5237 წერილი

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სი“ დაარსდა 2023 წელს და ახორციელებს მრავალპროფილურ ამბოლატორიულ სამედიცინო მომსახურებას, ძირითადად თბილისის ტერიტორიაზე. კომპანიის ლოგო წარმოადგენს სტილიზებულ ლათინურ ასოებს „IMC” თეთრ ან შავ ფერში, ზედა მარჯვენა კუთხეში განთავსებულია ნარინჯისფერი სიმბოლო, ხოლო ქვედა მხარეს - ნარინჯისფერი წარწერა: „International Medical Center” ლათინურად ან „საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი“ ქართულად (იხ. სურათი N1).

სურათი N1

მომჩივანი მიუთითებს, რომ მის საკუთრებაშია სოციალური ქსელების - Facebook-ის, Instagram-ის და Telegram-ის გვერდები, რომლებსაც კომპანია სარეკლამო მიზნებისთვის იყენებს. აღნიშნულ გვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია სამედიცინო პერსონალისა და შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების შესახებ. ამასთან, კომპანიის ლოგო განთავსებულია როგორც სოციალური ქსელების გვერდებზე, ასევე, გამოქვეყნებულ ფოტომასალაზე.

საჩივრის თანახმად, 2023 წლის დეკემბრიდან კომპანიას მართავდა დირექტორი, რომელმაც 2025 წლის ივლისში დატოვა თანამდებობა. მასთან ერთად სამსახური დატოვა რამდენიმე თანამშრომელმა ექიმმა. 2025 წლის ივლისში შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის” Telegram გვერდს სახელწოდება შეეცვალა და მიეთითა - „Rcheuli Medical Tbilisi Batumi“ (რჩეული მედიქალ თბილისი ბათუმი), ასევე, შეიცვალა კომპანიის ლოგო. იმავე დღეს Instagram-ის გვერდზე გამოქვეყნდა რუსულენოვანი შეტყობინება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „IMC“-ის ექსპატრიანტთა ფილიალი დაიხურა და იგივე გუნდი და ექიმები განაგრძობდნენ საქმიანობას ახალი სახელით, ახალი იურიდიული პირის ფარგლებში, ახალ მისამართზე და განახლებული მომსახურებით.

მომჩივანი აცხადებს, რომ შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ ყოფილმა დირექტორმა 2025 წლის თებერვალში დააარსა შპს „პრემიუმ ფარმა“, გადაიბირა მომჩივანი კომპანიის თანამშრომლები და დაიწყო საქმიანობა დასახელებით „Rcheuli Medical Tbilisi“. მომჩივნის განცხადებით, მის საკუთრებაში არსებული ტელეგრამისა და ინსტაგრამის გვერდების მართვა ამჟამად ხორციელდება

მოპასუხე მხარის მიერ, მომჩივანის ნების გარეშე. რაც შეეხება კომპანიის კუთვნილ Facebook-ის გვერდს რეგისტრირებული სახელით „აი ემ სი IMC“, მომჩივანი აღნიშნავს, რომ შპს „პრემიუმ ფარმამ“ გადასცა გვერდზე წვდომის მონაცემები (ლოგინი და პაროლი), თუმცა, მოპასუხის წარმომადგენელი უარს აცხადებს ადმინისტრატორის სტატუსის გაუქმებაზე. შედეგად, მას კვლავ აქვს შესაძლებლობა მართოს გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, შეიტანოს ცვლილებები, წაშალოს მონაცემები, ასევე განკარგოს გვერდთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციები. ამგვარად, შპს „პრემიუმ ფარმა“ იყენებს მომჩივნის ანგარიშებს საკუთარი სარეკლამო მიზნებისთვის. კერძოდ, მომჩივნის მითითებით, 2025 წლის ივლისიდან საჩივრის წარდგენის დღემდე გამოყენებულია მისი კუთვნილი აშშ დოლარი.

საჩივრის მიხედვით, მიუხედავად მომჩივნის მრავალჯერადი მოთხოვნისა, შპს „პრემიუმ ფარმა“ უარს აცხადებს მისთვის Telegram-ისა და Instagram-ის გვერდებზე წვდომის (დაშვების პაროლები) გადაცემაზე და განაგრძობს მათ გამოყენებას მომჩივანი კომპანიის სახელით - „IMC Georgia”, მისი ნებართვის გარეშე, რითაც მომხმარებლები შეცდომაში შეჰყავს.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ ზემოთ აღნიშნული არაკეთილსინდისიერი ქმედებების შედეგად მას ადგება მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი, ვინაიდან იკარგება პოტენციური მომხმარებლების ნაწილი, რომელთაც უყალიბდებათ მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სი“ (IMC) აღარ ფუნქციონირებს. აღნიშნული მომჩივნის შეფასებით წარმოადგენს კანონის 11[3] მუხლის დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ მომჩივანმა 2025 წლის 08 დეკემბერს სააგენტოში წარმოადგინა წერილი (რეგ. N01/7577), რომლითაც ითხოვდა მოპასუხის მიერ სარეკლამო მიზნებისთვის სამედიცინო ცენტრის კუთვნილი ფინანსური რესურსების გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარსადგენად დამატებითი, გონივრული ვადის განსაზღვრას. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და მტკიცებულებების წარსადგენად მას დამატებითი ვადა[2] განუსაზღვრა[3], მომჩივანს სააგენტოში რაიმე სახის მტკიცებულება არ წარმოუდგენია[4].

[2] 2025 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით
[3] სააგენტოს N 02/6184 წერილი (09.12.2025)
[4] 2025 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით

1.2. მოპასუხის პოზიცია

სააგენტოს 2025 წლის 11 ნოემბრის წერილით (რეგ. N02/5688) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, გასაცნობად და მასზე საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ ეკონომიკურ აგენტს - შპს „პრემიუმ ფარმას.“

მოპასუხემ განსახილველ საჩივართან დაკავშირებით 2025 წლის 27 ნოემბერს წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/7302).

მოპასუხე კომპანიის დირექტორის განმარტებით, შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სი“ დაარსდა 2023 წელს, ხოლო დირექტორის პოზიციას თავდაპირველად თავად იგი იკავებდა. შემდგომში, დამფუძნებელ პარტნიორთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დირექტორი შეიცვალა და აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა მომჩივანი კომპანიის ამჟამინდელი ხელმძღვანელი.

მოპასუხის წარმომადგენლის მითითებით, 2025 წლის თებერვალში, იმ პერიოდში, როდესაც მომჩივან კომპანიაში დირექტორის თანამდებობას იკავებდა, მან დააფუძნა შპს „პრემიუმ ფარმა“, რომელიც ფარმაცევტული საქმიანობით იყო დაკავებული. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ეს ინფორმაცია საჯარო და გამჭვირვალე იყო. მომჩივან კომპანიაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, მან პროფესიული საქმიანობის გაგრძელება შპს „პრემიუმ ფარმაში“ გადაწყვიტა.

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივნის პოზიციას, თითქოს Instagram და Telegram-გვერდზე განთავსებული განცხადებით გავრცელდა ცრუ ინფორმაცია შპს „IMC“-ის დახურვის შესახებ. მოპასუხის განმარტებით, მომჩივანმა რუსულენოვანი ტექსტი არასწორად თარგმნა. კერძოდ, განცხადებაში გამოყენებული ტერმინი „otdelenie“ აღნიშნავს „განყოფილებას“ და გულისხმობდა მხოლოდ ექსპატთა მომსახურებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს/განყოფილებას, არა მთლიან ფილიალს. შესაბამისად, ფაქტი, რომ კონკრეტული ექიმებისგან შემდგარი გუნდი აღარ იმუშავებდა „IMC“-ის კლინიკაში და სხვა ლოკაციაზე გადავიდა, არ მიუთითებდა შპს „IMC“-ის დახურვაზე. ამდენად, განცხადებას არ გააჩნდა ის მნიშვნელობა, რაზეც მომჩივანი აპელირებს.

მოპასუხის განმარტებით, გამოქვეყნებული შეტყობინება იყო შემდეგი ფორმულირების: *„ზოგიერთმა თქვენგანმა უკვე გაიგო, ბევრისთვის კი ეს სიურპრიზი იქნება: IMC-ის ექსპატების განყოფილება დაიხურა... რათა გაიხსნას*

თავიდან - ახალი ფორმატითა და ახალ ადგილზე... მაგრამ გუნდი - იგივეა: საუკეთესო ექიმები, გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც ენდობით...“.[5]

რაც შეეხება ექსპატთა მომსახურე ჯგუფს, მოპასუხე აღნიშნავს, რომ აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები მომჩივანთან დასაქმებულნი იყვნენ შრომითი ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ ჰქონდათ უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით შეეწყვიტათ შრომითი ურთიერთობა.

მომჩივნის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ინსტაგრამ (სახელწოდებით -„IMC_Georgia“) და ტელეგრამ გვერდების (სახელწოდებით - „Rcheuli Medical Tbilisi Batumi“) დაშვების კოდების გადაცემას, მოპასუხე განმარტავს, რომ მომჩივანს არასწორი ინფორმაცია აქვს აღნიშნული გვერდების შექმნისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ. მოპასუხის განცხადებით, ორივე პლატფორმა შექმნილია მომჩივან კომპანიაში ყოფილი პროექტ მენეჯერის პირადი ანგარიშიდან, მისი პირადი ინიციატივით, რესურსებით და ტექნიკური საშუალებებით, კლინიკის ხელმძღვანელობის მხრიდან რაიმე მითითების ან დავალების გარეშე.[6] არც ერთ არხს არ ჰქონია ოფიციალური სტატუსი, არ ყოფილა დარეგისტრირებული იურიდიული პირის სახელზე და არცერთ ეტაპზე არ წარმოადგენდა კომპანიის საკუთრებას. პლატფორმების სრული მართვა - მათ შორის სახელწოდება, კონტენტი, პოზიციონირება, სარეკლამო მოდული, ტექნიკური უზრუნველყოფა და აუდიტორიის მოზიდვა - ხორციელდებოდა ინდივიდუალური ინიციატივით და არა კომპანიის დავალებით. მიუხედავად პროფესიული თანამშრომლობისა, პლატფორმები კერძო საკუთრებად რჩებოდა. ამასთან, არ არსებობს არც ერთი წერილობითი შეთანხმება, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული ანგარიშების მომჩივნის მფლობელობაში არსებობას ან მათზე უფლებების მომჩივნისთვის გადაცემის ვალდებულებას. შესაბამისად, მომჩივანს აღნიშნული ანგარიშების ფლობაზე პრეტენზიების წაყენების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „პრემიუმ ფარმა“ აცხადებს, რომ არ ფლობს ინსტაგრამ და ტელეგრამ გვერდების დაშვების კოდებს, რადგან აღნიშნული პლატფორმები არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას. შესაბამისად, მომჩივნის მოთხოვნა არასწორად არის მიმართული მოპასუხე კომპანიაზე, ხოლო შესაძლო პრეტენზიები წარდგენილი უნდა იყოს იმ ფიზიკური პირის მიმართ, რომელმაც შექმნა და მართავს აღნიშნულ პლატფორმებს. მოპასუხის

---

[5] მოპასუხემ წარმოადგინა ტელეგრამში გამოქვეყნებული რუსულენოვანი შეტყობინება და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი

[6] მოპასუხემ დანართის სახით წარმოადგინა პროექტების მენეჯერის
განცხადება და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი

მითითებით, მას არ შეუძლია მომჩივან მხარეს გადასცეს ის, რაც კომპანიას არ ეკუთვნის. თავის მხრივ, მოპასუხის პოზიციის დანართად წარმოდგენილ განცხადებაში მომჩივანის ყოფილი პროექტ-მენეჯერი განმარტავს, რომ „IMC“ კლინიკიდან წასვლის მომენტიდან დღემდე არასოდეს გამოუყენებია კლინიკის სახელწოდება და არ გამოუქვეყნებია მასალები, რომლებიც მომხმარებლებს შეცდომაში შეიყვანდა. გარდა ამისა, Instagram-ის ანგარიშზე ყველა სახის აქტივობა, მათ შორის სარეკლამო და საინფორმაციო მასალების განთავსება, სრულად შეწყდა. მისი პოზიციით, საპირისპირო მტკიცება მომჩივნის მხრიდან მიჩნეულ უნდა იქნას ცილისწამებად და მისი უფლებების დარღვევად.

მოპასუხე ასევე, განმარტავს, რომ შპს „პრემიუმ ფარმამ“ შექმნა ოფიციალური, დამოუკიდებლად მართვადი საკომუნიკაციო არხები იმისთვის, რომ, როგორც ახალ ეკონომიკურ სუბიექტს, სრულად კონტროლირებადი ციფრული სივრცე ჰქონოდა.

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივნის აპელირებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „პრემიუმ ფარმა“ იყენებს შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ საკუთრებაში არსებულ ლოგოს. თვალსაჩინოებისა და შედარებისთვის მოპასუხემ წარმოადგინა ორივე კომპანიის ლოგო (იხ. სურათი N2).

სურათი N2

მომჩივნის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც არხების ადმინისტრატორის სტატუსის შეწყვეტას ეხება, მოპასუხის დირექტორი განმარტავს, რომ „Facebook Business Manager“ დაკავშირებულია მის პირად ანგარიშთან, რის გამოც გვერდის სხვა ანგარიშზე გადატანა ტექნიკურად მისთვის შეუძლებელი იყო. მისი მითითებით, მომჩივნის წარმომადგენელს მიენიჭა

გვერდის ადმინისტრატორის სრული უფლებები, მაქსიმალური წვდომა, რასაც ფეისბუქის პლატფორმის სისტემური პარამეტრები მესამე პირისთვის ითვალისწინებს. გარდა ამისა, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მას მანამდეც არაერთხელ ჰქონდა კომუნიკაცია მომჩივნის წარმომადგენელთან გვერდის გადატანის საკითხზე, გააგზავნა საჭირო ინსტრუქციები, თუმცა უშედეგოდ.[7]

მოპასუხე კატეგორიულად უარყოფს მისი მხრიდან მომჩივანის ანგარიშების სარეკლამო მიზნებით გამოყენებას და აცხადებს, რომ აღნიშნული განცხადება ცილისმწამებლურია. მისი განმარტებით, მომჩივან კომპანიაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან მას აღარ აქვს წვდომა კომპანიის რესურსებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე აცხადებს, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ დაურღვევია.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

კანონის 1-ელი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის 11^3 მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური

[7] მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მომჩივნის წარმომადგენელთან კომუნიკაციის ამსახველი ეკრანის ანაბეჭდი

აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

კანონის 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რომლებზეც ეს კანონი არ მოქმედებს. მათ შორის, 1.4. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს კანონი არ ვრცელდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უფლებები კონკურენციის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის გამოიყენება.

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი. „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით მომჩივნის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე საჩივრის მატერიალური დასაშვებობისა და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის დადგენილი ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო მომჩივნის მხრიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ხსენებული ვადის დინების განახლების საფუძველია. პროცედურის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე, პროცედურის მე-11 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება: ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა; ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება; გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება; ხოლო მე-12 მუხლის ადგენს ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგებს.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო პროცედურით განსაზღვრულ ვადაში შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის

მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი, კომპლექსური ანალიზის შედეგად.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, არგუმენტები და მტკიცებულებები. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების

მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნულის შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და მისი გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის ხელთ არსებული ინფორმაციის/მტკიცებულებების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად, განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშველობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების სამართლებრივ განმარტებას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მოკვლევის დასაწყებად მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) შემადგენლობაში. აღნიშნული გონივრული ეჭვის არსებობისთვის კი უმნიშვნელოვანესია საჩივარი იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდეს მასში მითითებულ გარემოებებს. ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. ამასთან, სააგენტოსთვის, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოსთვის,

მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რესურსის სწორად, ეფექტიანად და ეფექტურად მობილიზება ამ პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის. შესაბამისად, გონივრული ეჭვის სტანდარტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში, რაც, თავის მხრივ, სააგენტოს ანიჭებს გარკვეული ტიპის დისკრეციულ უფლებამოსილებას საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

3.2. შეფასება 11[3] მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

საჩივრის ავტორი უთითებს კანონის 11[3] მუხლს და დარღვევად მიიჩნევს მოპასუხის მხრიდან მის კომპანიასთან დაკავშირებით არასარწმუნო და მომხმარებლისთვის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას. საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ მოპასუხემ პირადი კომერციული მიზნებისთვის არამართლზომიერად გამოიყენა მომჩივანი კომპანიის სახელწოდება, ლოგო, ციფრული და ფინანსური რესურსები.

კანონის 11[3] მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. შესაბამისად, კანონის 11[3] მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

I. ქმედება;

II. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;

III. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

IV. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

შესაბამისად, დასაშვებობის ეტაპზე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს გონივრული და დასაბუთებული ეჭვი აღნიშნული ოთხი კუმულატიური პირობის მიმართ, ვინაიდან რომელიმე მათგანის მიმართ შესაბამისი გონივრული ეჭვის გამორიცხვის შემთხვევაში, გამოირიცხება მთლიანად კანონის 11[3] მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიმართ გონივრული ეჭვი.

ქმედებად განიხილება ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული

ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს ან/და დ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება.

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ზოგადად ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა.[8]

კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო

[8] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017

მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ", მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ" (მუხლი 2(a)).[9]

აღსანიშნავია, რომ მომჩივანი არ აკონკრეტებს კანონის 11^3 მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილ რომელ ქმედებას ასაჩივრებს მოპასუხის წინააღმდეგ, თუმცაღა, ვინაიდან საკანონმდებლო ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მითითებული ქმედებების მიღმა, შესაძლოა, მოიცავდეს სხვა დარღვევებსაც, სააგენტომ იმსჯელა მომჩივანი მხარის მიერ განსაზღვრულ სადავო გარემოებების სავარაუდო არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, კერძოდ, განიხილა თუ რამდენად ილახება საქმიანი ეთიკის ნორმები, კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესები კუმულატიურად.

მოცემულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს რამდენად შეიძლება ჩაითვალოს Instagram-ისა და Telegram-ის გვერდებზე გამოქვეყნებული შეტყობინება მომხმარებლისთვის არასწორი წარმოდგენის შექმნელ ინფორმაციად.

სააგენტო ხაზს უსვამს, რომ მომჩივანი განიხილება მხარედ და ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება პირველ რიგში ეკისრება სწორედ მომჩივანს. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ სააგენტოს ხელთ ჰქონდეს სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას.

საჩივრის თანახმად, რუსულენოვან შეტყობინებაში, რომელიც Instagram-ისა და Telegram არხებზე იყო გამოქვეყნებული, მითითებული იყო, რომ „IMC"-ის ექსპატრიანტთა ფილიალი დაიხურა. მეორე მხრივ, მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ტელეგრამში გამოქვეყნებული შეტყობინების ეკრანული

[9] Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market (იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32005L0029) (ბოლო ნახვა 04.12.2025)

ანაბეჭდი და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. წარმოდგენილი თარგმანიდან ირკვევა, რომ განცხადება ეხებოდა ექსპატებისთვის განკუთვნილი განყოფილების დახურვას და არა მთლიანი ფილიალის საქმიანობის შეწყვეტას. ამასთან, შეტყობინების ფორმულირება აღწერილობითი და ფაქტობრივი ხასიათისაა. მასში არ იკვეთება ისეთი მტკიცება, რომელიც კლინიკა „IMC"-ის სრულ დახურვაზე მიანიშნებდა. ასევე, ტექსტის სტრუქტურა არის მკაფიო, მოკლე და გონივრული ეჭვის სტანდარტის ფარგლებში არ დგინდება, რომ მისი ავტორის მიზანი იყო ფაქტების დამახინჯება, გაბუნდოვანება ან მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა. ამასთან, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ „IMC"-ის კლინიკის ექსპატთა განყოფილებაზე პასუხისმგებელი გუნდი მართლაც გადავიდა სხვა ლოკაციაზე და მუშაობა განაგრძო ახალი სახელწოდებით, აღნიშნულ ფაქტს არც თავად მომჩივანი ხდის სადავოდ. ამდენად, მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული შეტყობინება დაფუძნებული იყო რეალურ, ობიექტურ გარემოებებსა და ფაქტებზე. შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მოცემულ საკითხთან მიმართებით მომჩივანმა მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია.

წარმოდგენილ საჩივარში, ასევე, მითითებულია, რომ მოპასუხემ მომჩივნის თანამშრომლები „გადაიბირა". პირველ რიგში, სააგენტო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსის შეფასება სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. გარდა ამისა, საჩივარში არ არის განმარტებული, თუ რა კონკრეტულ ქმედებას გულისხმობს მომჩივანი თანამშრომლების „გადაბირებაში", რა კავშირში შეიძლება იყოს აღნიშნული ქმედება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან და რა სახის ზიანი იქნა გამოწვეული ამით. შესაბამისად, აღნიშნული პრეტენზია არ უკავშირდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხებს და სააგენტოს განხილვას არ ექვემდებარება.

მომჩივნის განცხადებით, მოპასუხე, მიუხედავად მრავალჯერადი მოთხოვნისა, უარს აცხადებს Telegram-ისა და Instagram-ის გვერდებზე წვდომის (დაშვების პაროლების) გადაცემაზე და აგრძელებს აღნიშნული პლატფორმების გამოყენებას მომჩივანი კომპანიის სახელით - „IMC Georgia" - მისი ნებართვის გარეშე, რაც იწვევს მომხმარებელთა მხრიდან მომჩივანი და მოპასუხე კონკურენტი კომპანიების აღრევას. თუმცა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მომჩივნის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ გარემოებას ობიექტურად დაადასტურებდა. მეორე მხრივ, მოპასუხის განმარტებით, მის გუნდს, „IMC"-ის კლინიკიდან წასვლის შემდეგ, არასოდეს გამოუყენებია კლინიკის სახელწოდება და არ განუხორციელებია რაიმე კომუნიკაცია, რომელიც მომხმარებლებს შეცდომაში შეიყვანდა. ყოველივე

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოკვეთილი გარემოებებისა და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, სახეზე არ არის მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მხრიდან მომჩივნის სახელწოდების, ლოგოს ან/და კომერციული იდენტობის გამოყენებას დაადასტურებდა. სააგენტო, ასევე, აღნიშნავს, რომ მიუხედავად დამატებითი გონივრული ვადის[10] განსაზღვრისა[11], მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის მიერ შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ ფინანსური რესურსების სარეკლამო მიზნებით გამოყენების ფაქტს დაადასტურებდა[12]. შესაბამისად, ფინანსური რესურსების გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით მომჩივნის პრეტენზია ვერ დადასტურდა.

რაც შეეხება მოთხოვნას Instagram-ისა და Telegram-ის პლატფორმებზე ავტორიზაციის მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი კონკურენციის კანონმდებლობის მიღმაა და მისი გადაწყვეტა სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. აქვე საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არ დადასტურდა, რომ მითითებული პლატფორმების გამოყენებით მოპასუხემ განახორციელა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. შესაბამისად, თავად, აპლიკაციების, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების/სოციალური ქსელების ანგარიშების ავტორიზაციის მონაცემების მიღება-გადაცემის საკითხი, რაც დაკავშირებულია პლატფორმის ფლობისა და მართვის უფლების გადაცემასთან, სცდება სააგენტოს კომპეტენციას და არ წარმოადგენს მოცემული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განსახილველ საკითხს.

მომჩივნის მიერ, დასაშვებობის ეტაპზე წარმოდგენილი ინფორმაციით/მტკიცებულებებით ვერ ხდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელების გონივრული ეჭვის არსებობის დადასტურება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა არ შეესაბამება კანონის 11[3] მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას, რადგან სახეზე არ არის კანონის ამავე მუხლით გათვალისწინებული „ქმედებისა“ და „კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესის შელახვის“ პირობები.

---

[10] 2025 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით

[11] სააგენტოს N02/6184 წერილი (09.12.2025)

[12] 2025 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით

3.3. შუალედური დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოს მიერ შესწავლილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის 11^3 მუხლთან მიმართებით მომჩივანმა მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა შესაბამისი გონივრული ეჭვის სტანდარტი. შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „სამედიცინო ცენტრი აი ემ სის“ (ს/ნ: 405663928) 2025 წლის 10 ნოემბრის N01/6899 საჩივარი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე